კვირა, 1918 წ. თებერვლის 4 (17) № 28

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

საქართველო

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

[illegible] ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, სადგურის ქუჩა, № 5 ქართული ქარტულა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

[illegible] 15—73

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დღეს, კვირას, 4 თებერვალს, წუადღის 12 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი გორის მაზრის სოფელ სახნორში მოკლულთა

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲣᲐᲠᲐᲜᲒᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ,
ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲡᲘ
ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ

სულის მოსახსენებლად, რასაც ადუწყებენ ნათესავები და ნაცნობები ძმა გასვენებულისა ნიკოლოზ გიორგის ძე ყარანგოზიშვილი და ძმისწულები მისი. 1—1001—1

ᲓᲦᲔᲡ, 4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ს., ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ

ᲢᲤ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ

გაგრძელება საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლების შესაცვლელად. (1—1006—1)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. ᲔᲠᲝᲕ. ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲒᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, თებერვლის 6-ს, საღამოს 5 საათზე გაიმართება საზოგადო კრება.

კრების საგანია: 1. მოხსენები და ტექტიკა.
2. მოხსენება კონფერენციის შესახებ.
3. არჩევნები კომიტეტის წევრთა.

2—1 ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲒᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ამყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (ახლო „საქართველოს“ რედაქციის ბინა). ღია ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღამის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმცხადებლებში შეიძლება რომელიმე ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა, და შემოწირულის შეტანა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ № 20,

Ძ. Ი. ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

სახ. სახ. არხ. ქართ. წარ. მმართ. წრე

კვირას 4 თებერვალს 1918 წ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲝᲠᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ.

№ 21

ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲝᲪᲓᲐᲔᲠᲗᲘ ᲯᲕᲠᲘᲗ

დრამა 4 მოქ. ია ტკალაძისა. მოქმედება სწარმოებს 1907 წ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, ბოგოლიუბოვი, მარგველაშვილი, ნინონი, ნ. გოცირიძე, მანუჩარიანი, ი. მენდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თამდგირიძე, გ. ჯაბური, ამბ. ევერელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათ. ადგილების ფასი 1 მ. 40 კ.—35 კ.-მდე. ბილეთების ყიდვა ღია ყოველ დღე დილის 12—2 მდე და საღ. 6—8 ს. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვა ადგილზე ნუ დასხდებიან ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდეგი წარმოდგენა 13 თებერვალს.

რეჟ. კ. შათირიშვილი რეჟ. თასაშვილი ალ. ბალძიძე.

ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

(2—904—1)

ᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, (ᲤᲠᲐᲒᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 11, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ) ᲓᲦᲘᲡ 11—3-ᲛᲓᲔ

მიმღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

მოხსენება გიორგი გაზაგანი

1. სუვერენობა საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის საქართველოს ერს და
2. საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲘ

მოხსენება დავით გაჩნაძისა

1. საქართველოს ადგილობრივი პოლიტიკური და სტრატეგიული პირობანი მოითხოვენ ქართულ რეგულარულ ჯარის სწრაფად შექმნას.
2. ქართული ჯარის მიზანია დაცვა თავის საშშოს მიწა-წყლისა და შენარჩუნებაც ძალისა, რომელიც დაეყრება საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობა, რათა განამტკიცოს თავისუფლება და წესიერება საქართველოში.
3. ქართულ ჯარში დაცული უნდა იყოს დისციპლინა, ერთმბრძანებლობაზე დამყარებული.
4. საქართველოს ჯარს უფრასობა უნდა ჰქონდეს ერთ-ერთ ... ოფიცრებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

მოხსენება რაფაელ ინგილოსი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ადგენს ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, რომლის განმტკიცებაში ეკლესიის დახმარებას გაუწევს და იმედოვნებს, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის შეშფოთებით ჩვენი ეკლესია შეინარჩუნებს თავის ქონებასა და განძეულებს, რომელიც საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲐ

მოხსენება ტარიელ მარგველაშვილისა

საქართველოს ვაჭრობა მრეწველობისა და საზოგადოთ ეროვნული მეურნეობის ეკონომიური განვითარებისთვის აუცილებელია განმტკიცება მოქალაქობრივ ურთიერთობისა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა, რომელიც სათანადო მფარველობას გაუწევს ეროვნულ მეურნეობას და მის ზრდა-განვითარებას ხელს შეუწყობს.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მოხსენება ალექსანდრე ახალთაანისა

1. საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში ყველა ეროფული სახაზინო და საუფლისწულო მიწები და ტყეები დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და შემდეგ საქართველოს დროებითი მთავრობის გამგებლობაში, რათა ეს ქონება ხელუხლებლივ გადავიდეს საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადარგულებაში, საქართველოს ცენტრალურ მოთხოვნილებათა და მიწის მწყობრომელთა დასაკმაყოფილებლად.
2. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა მოვალენი არიან დაცვან საქართველოს მიწა-წყალი და მეურნეობა თვითნებობით დაპატრონებისაგან, განადგურებისაგან და ზარალებისაგან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ

მოხსენებანი გრიგოლ წერეთელისა და ვერონტი ციციშვილისა

დაუყოვნებლივ უნდა შედგეს საქართველოს დროებითი მთავრობა, რომელიც შეჰკრებს ლაშქარსა და ფინანსებს, დაიცავს ქართველ ერის სუვერენულ უფლებებს ზღვის ჩამოგდებისა და მოიწვევს საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

საქართველოს მთავრობის ორგანიზაცია და ეროვნულ საბჭოს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს მთელი ერის სახელმწიფებრივი ინტერესების მიხედვით.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სადაც უნდა ბრძანებულიყო ადამიანი ჩვენში ყველგან და ყველასგან გესმით, რომ ყველას საშოლოს დამოუკიდებელი ცხოვრების ზეგი ანტერესებს. უეჭველია, რომ ერის სახელწოფებრივი ცხოვრების მასაწყობად სურვილები და ბალი იდეალები არ კმარა. საჭიროა ერის ქონების დაგროვება. საჭიროა ერის ქონებრივი გაძლიერება. თუ ხალხს დარიბი და დატაკია, თუ ხალხს ხელში არ აქვს ქონება ის მიდ. ჩიც ვერ ეძლევა ვერც თავისუფლებას და ვერც დამოუკიდებლობა. მაინი თუნდაც თავისუფლების ალარება თუ ავსებით არ 99% მაინც ფიქტიაა, რადგან ეთუ ხალხს ეფონოს, ვის ხელშიაც ქონება იქნება დაგროვებული. ქონების დაგროვება ვაჭრობა მრეწველობის განვითარებაზეა დამოკიდებული და თუ ეს ვაჭრობა-მრეწველობა არ იქნება განვითარებული, ცხადია არც ქონება იქნება მუდამ ერის თავისუფალი არსებობა არ იქნება უბრუნველ ყოფილ. მაგრამ არაა ამარტივი მხოლოდ ამის შეგნება. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯები; როდის თუ ეს ეს არა, რომ უნდა გვქონდეს თადარიგი

გვაჭრობა-მრეწველობის დაწყება-განვითარებისა. ადრე თუ ხვალ ომი გათავდება (თუნდაც ეს ... ან სამი წლის იქით მაინც გათავდება) და განა ამ დროისთვის ჩვენ ... ეროვნული ... ...

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიტინგი.

კვირას, თებერვლის ოთხს, ახალ კლუბში 10 საათზე საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი მართავს

მიტინგს,

რომელზედაც წარმოსთქვამენ სიტყვებს: ახალთაანი ალექსანდრი, გვაზავა გიორგი, ვარნავე დავით, ვეშაპელი გრიგოლ, მაჭავარიანი იოსებ, ქარუმიძე შალვა და აგრეთვე სხვანი.

მიტინგის საგანია „საქართველოს განსაცდელი და ეროვნული დემოკრატია“.

მილიციის უფროსი ბ-ნი კანდელაკი დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: რკინის გზიბაქოს დიანდაგზე მოძრაობის აღდგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, თბილისიდან სად. თავუს ქვემოდ მატარებლის გაგზავნა არ შეიძლებაო.

—

ექს-სულთანი აბდულგაზიდი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

—

ოსმალებს ერძიჯანი დაუპერიათ.

—

ინგლისელებს სპარსეთში ქამადანი დაუპერიათ.

—

ტრაპიზონში რუსის ჯარის სამხედრო საწყობებს ოსმალთა ჯარისკაცები იცავენ.

—

რუმინეთის მინისტრების კაბინეტი გადადგა. ნისი შედგენა მიენდო გენერალ ავერესკს.

ДЛЯ „САКАРТВЕЛО“ ТЕХНИКУРА ДАБРКОЛЕБИС ГАМОЕРТ ФУРЦЛАД ГАМОХВИДА.

ქრონიკა

თბილისი.

ამიერ-კავკასიის სეიმის წევრთა ბინა. სეიმის მოხმწვევლი ბიუროს შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე დაუთმოს მას ქალაქის შუა ადგილას მოზრდილი შენობა სეიმის 80 წევრის მოსათავსებლად.

სტუდენტების კრება. დღეს, თებერვლის 4-ს, დილის 10 საათზე, ქართულ უნივერსიტეტის აუდიტორიაში საერთო კრებაა დანიშნული ამავე უნივერსიტეტის სტუდენტებისა სხვა და სხვა ორგანიზაციების მოსაწყობად.

თავგახეული ჯარისკაცები. თებერვლის 2-ს, ნაშუადღევის 2—3 საათზე, ქართველი ჯარისკაცები, რიცხვით 50—60-ზე გამოვიდნენ ალექსანდრეს ბაღის მახლობლად და გამვლელ აფიცრებს პაგონებს და კაკარდებს აჭრიდნენ. საშინელი სროლა ასტყდა რევოლვერებისა. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაქრა.

პატრიარქის წირვა. დღეს საკათალიკოსო ეკლესიაში საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქი კირიონი შეასრულებს საღმრთო ლიტურგიას.

ხხედართა კავშირის ხალამი. ქართულ კლუბში კვირას, თებერვლის 4, ქართველ ხხედართა კავშირი თავის ნივთიერ ფონდის გასაძლიერებლათ გაბართავს მეტად საინტერესო „სალამო მეჯლის“.

პავლე ინგოროყვას მოხსენება. ამ დღეებში გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას **ტერიტორიული საკითხების შესახებ.** მომხსენებელი გაიაზრებს საქართველოს და კავკასიის სხვა ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის კითხვას. მოხსენების დრო და ადგილი ცალკე გამოცხადდება.

ბათუმი

მაჰმადიანური პარტია „მუსავატ“. აქ შესდგა თურქ-ფედერალისტთა პარტია „მუსავატ“.

აბასთუმანი

მაჰმადიანთა პოლკის შედგენა. მაჰმადიანთა ის პოლკი, რომელიც ახალციხეში სდგებოდა აბასთუმანში გადმოვა და აქ დარჩება მუდმივად.

დუშეთი

ოხების თარეში. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ დუშეთის სოფ. ამბანოს და სხვა ადგილების მცხოვრებლებს აწიოკებს ოს ჯარისკაცთა რაზმი ერთი აფიცრის მეთაურობით. ეს რაზმი ბოლშევიკების სახელით თარეშობენ.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1 თებერვლის სხდომაზედ, ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების საკითხი, ასე გადასწყდა: 1) ზავის ძირითად დირექტივებს და პირობებს შეიმუშავებს ამიერ-კავკასიის სეიმი. 2) ამიერ-კავკასიის კომისარიატი აირჩევს კომისიას, რომელიც დანიშნულ ვადაზე პასუხს გასცემს ოსმალეთის მთავრობას. 3) ამიერ-კავკასიის კომისარიატს მიენდობა, კომისიის არჩევა, რომელიც გამოიკვლევს ზავის საფუძველს და შეჰრებს ცნობებს საკითხის შესახებმოხსენების დასამზადებლად, რომლითაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი გამოვა სეიმის წინაშე 4) ამიერ-კავკასიის კომისარიატი აწარმოებს ზავის მოლაპარაკებას ადნიშნულ ვადაზე და ალაგზე.

აჭარლების განთავისუფლება

ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულ მცირე საბჭომ მოისმინა გრ. რცხილაძის მოხსენება ყარსის და ბათუმის ოლქებში მცხოვრებ აჭარლების, ლაზების და სხ. მუსულმანების შესახებ, რომლებსაც ნიკოლოზის მთავრობა ბრალს სდებდა სახელმწიფო დალატში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 148 გასამართლებული აჭარლების, ლაზების და სხ. მუსულმანების და 1917 წ. 16 ივნისის დროებითი მთავრობის მიერ განთავისუფლებულთა გარდა ქუთაისისა და ერევნის საოლქო სასამართლოებში მოიპოვება მთელი რიგი მზგავსი საქმეებისა. მცირე საბჭომ „ბრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგინა: შეჩერებულ იქმნას სამუდამოთ სისხლის სამართლის საქმე ყარსის ოლქში მცხოვრებ აჭერლების, ლაზების და სხ. მუსულმანებისა, რომლებიც სისხლის სამართალში არიან, ან უნდა იქნან მიცემული 1917 წ. 16 ივნისამდე ჩადენილ მაქმედებით სახელმწიფო ღალატისათვის და დაუყოვნებლივ უნდა იქნას განთავისუფლებული ყველა ის, ვინც ამ ბრალდებ დალატსადებულია.

დეგულეგა გონაგის შესახებ

იანვრის 29-ს კომისარიატმა შემდეგი დადგენილება დაამტკიცა:

„ამიერ-კავკასიის კომისარიატი უშვებს 100 მილიონ მანეთის ბონებს.

2. ბონები მოქმედებაში იქნებიან დროებით, ვიდრე მოისპობოდეს ის მიზეზები, რომლებიც ქალაქის ფულის ნაკლებობას იწვევენ. შემდეგ ბონები გაბათილდება.

3. ამიერ-კავკასიაში ბონებს ისეთივე ღირებულება ექნებათ, როგორც ქალაქის ფულებს, მას მიიღებენ როგორც საზოგადო დაწესებულებები, ისე კერძო პირები.

4. ბონები გამოიცემა: 1. მანეთიანი, 3-ანი, 5 და 10-ანი, 50 ანი და 100 ნი.

5. ბონები მზადდება ფინანსების სამინისტროს კომისრის განკარგულებით და გადაეცემა სახელმწიფო ბანკის კონტორას ხმარებაში გამოსაშვებად.

6. თბილისის სახელმწიფო ბანკის კონტორა ბონებს უშვებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბანკის განყოფილების საშუალებით.

7. ბონა არ მიიღება თუ აკლია ნამდვილ ზომის ერთი მესამედი და ან ნუმერაცია.

მოგზავლობის დეკრეტი

19 წლიანთა ჯარში გაწვევა

1. უნდა გაწვეულ იქმნან ჯარში, თანახმად მე-12 და მე-16 მუხლის და სამხედრო ბეგრის შესახებ გამოცემულ 1915 წელს მე-93 წესდებისა. ახალგაზდები, რომელნიც 1899 წელს არიან დაბადებულნი, გარდა იმ ახალგაზდებისა, რომელნიც სარგებლობენ 1 ხარისხის შეღავათით, ოჯახური მდგომარეობის გამო (მე 53 მუხლი ა—ე).

შენიშვნა. ა) ჯარში გაწვევა ეხება უმაღლეს, საშუალო და სხვა სასწავლებელთა მასწავლებელთ და მოსწავლეებს და აგრეთვე ყველა მთავრობის და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეებს.

ბ) გაუქმებულია ყოველგვარი შეღავათი, რომლითაც არსებული კანონების ძალით თავისუფალი იყვნენ სამხედრო სამსახურისაგან; გარდა იმ შეღავათისა, რომელიც ეძლევა ავადმყოფებს თანახმად იმ ნუსხისა, რომელიც 1917 წლის 5 მაის გამოიცა.

გ) ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებიდან ლტოლვილები.

2. ჯარში გაწვევის პირველ დადგენილია 1918 წლის 15 თებერვალი. ამ რიცხვიდან ყველა გაწვეულნი ვალდებულნი ამოცხადდეს პუნქტში, რომელსაც საგუბერნიო და სამაზრო კომისარიები დანიშნავენ.

3. პუნქტებში ჯარისკაცების შემოწმება ხდება სამხედრო სამაზრო გამგეობაში, რომელიც დროებით მთავრობის მიერ არის შეცვლილი და შედგენილი 1917 წლის 5 მაისის განკარგულებით, და აგრეთვე იმ დამატებებით, რომელიც ეროვნული ნაწილების წარმომადგენლებმა შეიტანეს.

4. ჯარში მიღებულები განაწილებული იქნებიან სახხედრო ნაწილებში, თანახმად იმ გეგმისა, რომელსაც ეროვნული კორპუსების და დივიზიის შტაბები შეიმუშავებენ.

5. ჯარში გაწვეულებს თან უნდა ჰქონდეთ 3 დღის საყოფი სურსათი, როდესაც ისინი ადნიშნულ პუნქტში გამოცხადდებიან.

6. ყველა ის, ვინც განზრახ მოისურვებს თავიდან მოიშოროს სამხედრო მოვალეობა სამშობლოს წინაშე, იძულებით იქნება ჩარიცხული სამხედრო ნაწილში და სამხედრო სამსახურის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დაპატიმრებული იქნება ვადით, არა უმეტეს ერთი წლისა.

7. თანამდებობის პირნი, რომელნიც განზრახ შეუწყობენ ხელს სამხედრო ბეგრის თავიდან აცილებას, გადაყენებული იქნებიან სამსახურიდან და დატუსალებული ვადით 3 თვიდან 1 წლამდე.

8. დოკუმენტების შემოწმება და ცნობების მიწოდება განზრახ დამალულ ჯარისკაცების შესახებ ევალება: სამსახურში მყოფ ან სამსახურში ახლად შესულთა შესახებ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციას; ბინახე მცხოვრებთა შესახებ ამ გვარი შემოწმება ხდება სახლის წიგნების მიხედვით და ევალებათ სახლის და ბინის პატრონებს. დამნაშავენი დაისჯებიან დატუსალებით ვადით, არა უმეტეს 3 თვისა.

25 წელზე უმცროს ჯარის-კაცების დაბრუნება.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შემდეგი დეკრეტი გაუმსაა ეროვნულ ნაწილებში დაბრუნების შესახებ ამიერ კავკასიის იმ მცხოვრებთა, რომელნიც ვალდებული არიან სამხედრო სამსახურის გაწვევისა:

1) ყველა ის, ვინც ვალდებულია ჯარში სამსახურის ვისაც 1918 წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდა 25 წელი და აგრეთვე ის ვინც 25 წელზე უმცროსია), რომელიც მოკლე ვადით იყო განთავისუფლებული მშობლებისა და ნათესავების სახახავად, ვალდებულია გამოცხადდეს უახლოეს პუნქტში, რომელიც დანიშნული იქნება საგუბერნიო და სამაზრო კომისიების მიერ ჯარის შესაკრებად, რათა აქედან განსაზღვრულ სამხედრო ნაწილებში წავიდნენ სამსახურის გასაწევად 6 თვის განმავლობაში.

შენიშვნა. ა) ადნიშნულ ჰასაკის ყველა პირი, ვისაც აქამდე ჯარში არ უმსახურია ისინიც, ვინც თავდამცველად აღიარებულ დაწესებულებაში მსახურებდა, რომელნიც შემოწმებული არ იყვნენ და ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვალდებული არიან გამოცხადნენ ადნიშნულ პუნქტებში, რათა ისინი შეამოწმონ სამაზრო სამხედრო საკრებულოებში.

ბ) ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც სარგებლობდნენ პირველი ხარისხის შეღავათით ოჯახური მდგომარეობის გამო; არ ვრცელდება აგრეთვე რკ. გზის, ფოსტა-ტელეგრაფის, ტრამვაის, წყალსადენის ელექტრონის სადგურების, ნავთის საწარმოწველო დაწესებულებათა, მადნების, სტანციების, ორთქლით და მოტორით მომუშავე წისქვილის მოსამსახურეებზე თუ ისინი შესულნი არიან ადნიშნულ დაწესებულებებში 1917 წ. 1-ლ დეკემბრისთვამდე.

გ) ეს დეკრეტი ვრცელდება ამიერ-კავკასიის მკვიდრ მცხოვრებლებზე და იმათზე ვინც მოწვეულია ადგილობრივ სამხედრო უბანში.

2) გუბერნიის, მაზრის და სოფლის კომიტეტი ვალდებულია ყოველივე ზომა მიიღოს, რომ დაბრუნებულ იქნან ყველა სამხედრო ბეგრის ვალდებულები სათანადო ნაწილებში.

3) ყველა ის, ვინც თავიდან განზრახ აიცილებენ სამხედრო ბეგარას, იძულებით იქნება ჩარიცხული სამხედრო ნაწილში, და სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ დატუსალებული ვადით, არა უმეტეს 1 წლისა.

4) ადგილობრივი მთავრობების წარმომადგენლები, რომელნიც განზრახ ხელს შეუშლიან ჯარისკაცების დამალვას, გადაყენებული იქნება სამსახურისაგან და დატუსალებულ ვადით 3 თვიდან 1 წლამდე.

5) დოკუმენტების შემოწმება და დამალულ ჯარისკაცების შესახებ ცნობების მიწოდება ეკისრება: დაწესებულებებში მოსამსახურეთა შესახებ ამ დაწესებულებებში ადმინისტრაციას, სოლო მინახე მცხოვრებთა შესახებ სახლის პატრონებს. დამნაშავენი ამ დადგენილების დარღვევაში დატუსალებული იქნებიან ვადით არა უმეტეს სამი თვისა.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ს. ტერ-ტერიანი.
სამხედრო და საზღვაო კომისარი ვ. ბოგდანოვი.

კორესპონდენცია

ჯავახეთის „გამოუთვა“ საქართველოდან

საწყენარად ბევრმა ქართველმა, არც კი იცის ჯავახეთი რომელი კუთხეა ქვეყნისა.

ნამდვილად კი როგორც წისქვილი უწყლოდ, ისე საქართველოს ცხოვრების ჩარხი უჯავახეთოთ ვერ დატრიალდება. გადაჭარბებული ნუ გეგონებათ თუ ვიტყვი—ჯავახეთის დაკარგვას მოჰყვება ქართულ-კახეთის ეკონომიური საკვდილი.

ჯავახეთი ჰკვებავს თბილისს, ქუთაისს, სენაკს, თელავს, გორს, ახალციხეს და სხვა.

მთელი რიგი მიზეზისა: თავკვეთილია, შავნაბადა, სამსარი, გოდორები, დიდი ბუნი, პატარა ბუნი, ადიბაბა, სამ-მთიანა (ზეჩით ფაფალარე), ალქალა, აგრეთვე კარწახის და ჩილდირის ტბების არგ-მარე, მიდამო,—ის უმთავრესი წყარონი, რომელნიც თავის უხვ საძოვრებით, იალაღებით და ნაკადულებით ასულდგმულებენ თუშ-ფშავ-ხევსურების, მთიულების, ქიზიყელების და მთლად ქართლის ცხვარს და ყველა საქონელს.—ჯავახეთი იძლევა საუკეთესო ერბოს, კარაქს, ყველს, საკლავ საქონელს, მატყლს და თანაც ბუჩრებულ ქვრს და პურს. იცით თუ არა რომ ჯავახეთში მოსული ცხვარი მარტო ზაფხულობით ნ მილიონის პროდუქტს იძლევა. ცხვრის მეპატრონეებს ჯავახეთში საძოვარი მამულები თითქმის საკუთრებად აქვთ, ოსმალოს დროსაც კი ჰფლობდენ.

ზაფხულობით ჯავახეთი ნამდვილი სამოთხეა, სუდის ჩამდგმელი, ცხოველმყოფელი მკურნალია, საკმაოა ჯავახეთზე რკინის გზამ გაიაროს (პროექტი უკვე დამტკიცებულია) და მაშინ მას ვერც აბასთუმანი და ვერც ბორჯომ-ბაკურიანი შეედრება. ამბა თქვენგან არ მიკვირს, რა შესადარებელია ბორჯომის ნოტიო ბგერაკები, ბაკურიანის ჯანდიანი, ნოტიო დღეები და აბასთუმანის გულშემხუთველი სულის სიგიჟოვე.

მე შემიძლია ათასი მაგალითი მოგიყვანოთ, როდესაც მალარიით (ფამპალ ციგა-ცხელებით) შეპყრობილნი ცოცხალ-მკვდარნი მოსულან და ჯავახეთის ჰაერით ერთს—ორს ზაფხულით, სრულებით უწამლოდ განკურნებულან—საბარიდან ამოდებულებს ჰგავნდენ და ლოყები თურაშაულივით წითელი გაუხდათ. ბლეკინგები არამც თუ ბაფხულობით, ზამთარშიაც კი აქ განგვბ ცხოვრობენ და ყოველ თვე და თვე მათს ფილტვებში კოხის ჩხირები იდუპბიან. ჭაქის (თირკმელების) სატკივრიანი ბოლოდ აქ სულდგმულობენ. ზაფხულობით თქვენკენ ბარში რო ხოლერინ ბავშვებს მუსრს ადენს, აქ კი ჯავახეთის ჰაერით სასწაულებრივ იკურნება, ესეც ითქმის მუცელ კეთილის, დიზენტერიის შესახებ. კარგი იქნებოდა რომ ქართველი ექიმები ჯავახეთს უფრო დადგებას მიაქცევდნენ და აქ სანატორიებს გამართავდნენ.

ჯავახეთი რომ საქართველოს ჩამოსპრათ—ეგ იმას ეგვანება მტერს კარები გაუღოო, ციხის გალავანი, ზღუდე ჩვენვე დავანგრიოთ. დიაღ ასეთი გახლავსთ ჯავახეთის ტოპოგრაფიული მდგომარეობა—მართლაც და ვიდრე ოსმალეთმა (ჩვენი ათაბაგის დალალით) ჯავახეთი არ დაიპყრო საქართველო ქედს არ უბრიდა.

ძველი რეჟიმის დროსაც სოლოლაკის სომხობა აფუტყდა ვარანცოვს, ჯავახეთი ვრევნის გუბერნიას მივაწეროთო, რომ სომხებმა თავისი ეროვნული (სხვისა ნამკვლრევზე) გაფართოვონ, გაადიდონ, გაძლიერონო. ეს პოლიტიკა, სომხის ერთგულ პაპარტიის ოცნება იყო, თორემ მაშინ არამც თუ სხვა ტომის ხალხმა, თვით ჯავახელმა სომხებმაც ოფიციალურად განუცხადეს მაზრის უფროსს მოახსენეთ სადაც ჯერ არს, ჩვენ სრულებითაც არა გვსურს თბილისის გუბერნიიდან გამოყოფვა და საქალაქ ჯანაბას სიარული.

1828—30 წლებში ომის დროს სომხები აზრუმიდან გამოიქცნენ ოსმალოს მტარვალობს, როგორც დღესაც არიან მაგალითად „ბეჟენცები“. სომხები როგორც ამ ომის დროსაც, რუსეთის მხედრობას შევიდნენ მაშინაც და ამიტომ რუსის მთავრობამ (პასკევიჩმა) დასტური დასცა ოსმალოს გაფანტულებულ ყლანჭებისგან ეხსნათ თავი და ჯავახეთში დასახლებულიყვნენ. ჯავახელმა ქართველებმა სომხები შეიგუა, შეიბრალა, სტუმარ-მოყვარეობით, პურადობით შეეგება. იყო ცარიელი ადგილი და სომხები ხიზნად მიიღო. მათი დასახლება იმიტომ ირჩიეს, რომ მაშინ საქართველოში ბატონ-ყმობა მძვინვარებდა და არც ერთი მეგობარ-თავის ბეგებს ყმას ნებას არ მისცემდა აქ გადმოსახლებისას. ხელშეკრულებით, ტრაქტატით ყველა პროვინციები ოსმალოს საქართველოისა რუსეთის მიერ აღებული (საქართველოს დამპარებით რა თქმა უნდა) საქართველოს უბრუნდებოდა, მისი საკუთრება ხდებოდა. სომხების დასახლების წინაღმდეგი არ გახდა მაშინ ჯავახელი, რადგან სომხობა როგორც ქრისტიანი ხალხი უფრო თავისად მიიჩნია. დაშნაკცაკანელები ასე სჯიან: ახლა ჯავახეთის სომხობა წელში გაიმართა, გაძლიერდა, გამრავლდა და (რა უკოთრო შემოხიზნული ხალხია) ახლა თამამად შეგვიძლიან რომ სრულებითაც დავისაკუთროთ ჯავახეთი და ხელი დავაბანინოთ ჯავახელ აბორიგენებს მკვიდრ ქართველებსაო.

ჩვენ აქ პროტესტს ვაცხადებთ ვით საქართველოს შვილნი იმ ძალმომრეობაზე, რომელიც განუზრახავთ სომხის პატრიოტებს, მაგრამ დანაჩენი ტომის ხალხი კი გვავიწყდება. მაგალითად, რას ემართლებიან სომხები ალაურ თათრობას და მათ შორის ქართველ მაჰმადიანებს. ესენი ხომ სუნიტები არიან და სომხებს კი, ჩვენს მთავარ-მართებლებს, უნდათ ამ ხალხს პირი უბრუნონ და შიიტებს შეუერთონ. განა ცოცხალი თავით იზამენ ამას, რომ ერევანში იარონ?

სომხებს არ ვინ დაუშლის იქონიონ სომხური ავტონომია, ეროობა მოაწყონ თავიანთ სურვილისამებრ, მაგრამ მიწა-წყალს ჯავახელი ვერ დაუთმობს. ვერ დაგითმობსთ კუმურდოს საკათედრო საეპისკოპოსო ტაძარს, სალამოს შვიდ ეკლესიას, თეფერაგნის ტბას, რომლის ნაპირად ძმანარე წმ. ნინომ მიიღო ვაზის ჯვარი. ვერ დაგითმობთ ვარდის ცხენს, ხიდის ჯვარს, საკუთარას, შადრევნს, მიმინეთს, ხელოვნებანს, მოდეგას, ორმოცს, ბერულას, ბერთაყანას, არაშენდას, წუნდას, მგელსუნდას, წერაკუნთას, შახუბანს, ვარდის უბანს, ეგეჯილას, დელიფალგლის (დელიფლის ტბა) და სხვა სოფლებს და ნასოფლარებს. ჯავახეთის „გამოყოფით“ მკვიდრნი, აბორიგენები, სომხობის ყმათ უნდა გავხდეთ.

საქართველოს ბედის მომწყობნი ამ სიუპ ზს უნზადებენ ჯავახელ ქართველებს.

მომავალს, შედეგს, ანგარიშს არ უწევენ, თითონ სომხების მეთაურნი დაშნაკელები განა ჯავახელები თავს მოიკრიან თავის ხელითვე. კარგად იცოდნენ, რომ მტრობის მეტს არას დასთესავენ ამ ორ მეზობელ ხალხთაშორის. განა ქართველებს არ[illegible] ლოდ წინააღმ[illegible] ვენ თბილისს, (თბილისამა [illegible] ბებს) ქართველ მაჰმადიანებს, დუხა[illegible] ბორებს და სხვ.

მაგ ერთი მიბრძანეთ ბატონებო კავკასიის კომისარეთ და თქვენ სომხების ხალხის ჭირისუფალნო დაშნაკელებო, რა გაჭირვება გაქვთ, რომ ხალხის ადგილებისაც არ ერიდებით ვის ოხერს უყოფთ და იყოფთ.

სომხების მეთაურნი ამბობენ, ყველ მართალია, მაგრამ თუ ქართველებ ავტონომია-ტერიტორიაში მოგვყვანი ოროცა საგუბერნიო კითხვები იქნ აღძრული ჩვენს (სომხების) ბმას შნ ვნელობა არ ექნებაო, მხოლოდ ამისთვის უნდა შეიწირონ ჯავახელებიდან ესოდენი მსხვერპლი, მხოლოდ ამისთვის უნდათ თვით თავიანთიანი ხალხი ტანჯვაში ჩაგდონ.

რა აქვს ჯავახელ სომხობას საერთო ან ერევანთან, ან გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ხალხი სინათლისკენ მიისწრაფის და მეთაურნი კი უფსკრულისაკენ ეზიდებიან. დარწმუნებული ვარ ყველაფერი რომ სინამდვილეთ აუხსნან სომხის მეთაურებმა თავიანთ ხალხს ერთიც არ მოინდომეს გუმბრ-ერევნის ორიენტაციას. მაგრამ სომხების მეთაურნი იმით არიან გატაცებულნი, რომ ჰაიასტანი შექმნიან, საქართველოს გვერდს ჩამოგვრიან და ერევანს მიაკერებენ. სხვაფერად კი არც ეკონომიურად, არც ადმინისტრატიულად, ხელს არ აძლევს ხალხს თვით ბუნება, ტოპოგრაფია, კლიმატიური პირობები სრულებით ეწინააღმდეგება ლოლიურ მოტივს და ნუ თუ ნაძალადევი, წინ დაუხვედავი საქმე სომხეთისთვის კეთილ ნაყოფს გამოიღებს?

სომხის მეთაურნი ვეპასუხებენ: ქვითა გუბერნიებში თათრებში ვეტრას გაგაწყობთ, სომხეთის ტერიტორიაში შესვლას არ დაგვნებდებიანო, მაგრამ ჯავახეთი ეკუთვნის, არ გამოიწვევსო (დაბრიყვებაც ასეთი უნდა!) ჯავახეთი ქართველ სოციალ-დემოკრატებმა უკვე გადმოგვცეს (это уже предрешено ო), ხოლოდ ფორმალური ბრძოლა და დარჩა, რომ ჯერ ალექსანდრეპოლი გუბერნიად დამტკიცდეს და მერე ჯავახეთი შვა ახალ გუბერნიას შეუერთდებაო—ეს არის რადაგური პოლიტიკა ქართველ სოციალ-დემოკრატებისაო. სამაგიეროთ ჩვენ (სომხებმა) აკი ახალციხე დაგითმეთო.

მე კი ასე მგონია რო ჯავახეთის საკითხი საბედისწერო საკითხია და გულითად ვეურჩევთ ყველას, ვინც საქართველოს სხეულში ხელებს ეფათურებს, თავი დანებონ ჯავახეთის მიწა-წყლის გამიჯვნას, გადამიჯვნას, ხალხის უნებურად, ამის უფლება არაფის აქვს. ის ერთი ელხას-ლორენიც ეგეთ ფა კაცობრიობას თავში ხაცემად.

ივ. ალხაზიშვილი.

P.S. ეს წერილი მზად მქონდა რო ცა იანვრის 22-ში, ახალ-ქალაქის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა კრებაზე დადგინა: „ბევლინდელ დღიდან უკვე ალიარებულია ჯავახეთი ალექსანდროპოლის გუბერნიად და ეს ჩვენი დადგენილება გამოგეცხადოს ყველა დაწესებულებასაო. ამგვარად ანდერძ აუგეს ჯავახეთს.

ი. ა.

რედაქტორი ბაბიბოლ ბეშაპეტი.

კალენდარი

კვირა, თებერვლის 4

კვირა 37 ხმა 3.

ქართვ. ღირს. მამისა ჩვენისა ალექსანდრე ვლესიტესისა, კონსტანტინეს და სხვ.

კათოლ. წმ. ანდრია ეპ. ავტოსლავისა და სხვ.

სომეხ. მე-4 კვირა შობის შემდეგ.

მაჰმად. ექ შაბანი 5 რ. ჯვმანდი ულ[illegible] ელ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონ 5 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

ოთხშაბათი, თებერვლის 5

ქართვ. წმ. მოწამე ადათისა.

კათოლ. წმ. მოწ. ქალწულისა ადათისა.

სომეხ. წმინდა მაკობელისა.

მაჰმად. დუ-შამბე 4 რ. ჯვმანდი ულ[illegible] ელ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ომშნი 4 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.